პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 139 (9300)
19 ივლისი,
შაბათი,
1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ოთხნი ფინალში

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი გაბრიელ ბარჯაძე მინსკიდან ტელეფონით გვატყობინებს:

მინსკის სპორტის სასახლეში დღეს დასრულდება საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ფინალური ტურნირი. წარმატებით ასპარეზობენ ქართველი ფალავნები. 82 კგ წონაში ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო და ფინალში გავიდა თბილისელი ავთანდილ გოგოლიშვილი. იგი ოქროს მედლისთვის ბრძოლაში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს ალიბეკ ზუბაიროვს შეხვდება. ფინალში გავიდა აგრეთვე ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ლერი ხაბელოვი (100 კგ), რომელმაც ქვეჯგუფში ყველა მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხა. ბრწყინვალედ იასპარეზეს მძიმე წონის მოჭიდავეებმაც: ოქროს მედლისთვის ერთმანეთთან მოუწევთ პაექრობა მსოფლიოს ჩემპიონს დავით გობეჯიშვილსა და ზაზა თურმანიძეს. საპრიზო ადგილისთვის ბრძოლას აგრძელებს ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ორი წარმომადგენელი — გორელი მერაბ სამადაშვილი (74 კგ) და თბილისელი ზაურბეგ მაჭომელოვი (62 კგ).

ელვა - ინფორმაცია

ავთანდილ გოგოლიშვილი და ლერი ხაბელოვი — სპარტაკიადის ჩემპიონები

ავთანდილ გოგოლიშვილმა (82 კგ) მძიმე და დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ალიბეკ ზუბაიროვი (რსფსრ, მახაჩკალა) და სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მეორე ფინალურ ასპარეზობაში ლერი ხაბელოვის მეტოქე იყო მოსკოველი ვლადიმერ ზახაროვი. ხაბელოვმა დიდი უპირატესობით ჩაატარა ეს შეხვედრა და საქართველოს გუნდმა მეორე ოქროს მედალი მოიპოვა.

ქვეჯგუფებში შეხვედრები დაემთავრდა

მინსკი, 18 ივლისი (ტელეფონით). აქ დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოჭიდაკეთა ტურნირის მონაწილეთა შეხვედრები ქვეჯგუფებში.

საქართველოს ვაჟთა გუნდმა 11 ქულით (ერთი გადადებული პარტიის შედეგის მიუხედავად) ქვეჯგუფში II ადგილი დაიკავა და ფი-

იხ. მე-4 გვ.

მაიაკოვსკში ამ დღეებში დიდი ზეიმი იყო. რაიონის ცენტრში საჭადრაკო კლუბის გახსნის სიხარული გაიზიარა ხამგზის მსოფლიო ჩემპიონმა, დიდოსტატმა მაია ჩიბურდანიძემ, რომელიც საგანგებოდ ჩამოვიდა ქობულეთიდან, სადაც ამჟამად მსოფლიოს პირველობის მატჩისთვის ემზადება.

მაიაკოვსკელებმა კლუბს „მაია“ დაარქვეს. მოჭადრაკეთა ახალი კერის გახსნის ცერემონიალზე ლენტი თვით მაია ჩიბურდანიძემ გაჭრა.

იხ. მე.2 გვ.

საქართველოს მოსწავლეთა XXXIV სპარტაკიადა

სარეკორდო რაოდენობა

რესპუბლიკის მოსწავლეთა 34-ე სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში თბილისის განათლების სამმართველოს გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლის დარბაზში გაიმართა. სტარტზე თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ზუგდიდის 140 წარმომადგენელი გამოვიდა, მათგან 100 გუნდურ ტურნირში იბრძოდა.

გუნდურ ჩათვლაში, როგორც გოგონათა, ისე ვაჟთა შორის, თბილისელებმა იმარჯვეს. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ქუთაისელი და აჭარელ ტანმოვარჯიშეები. გოგონათა ტურნირი ოსტატთა პროგრამით თბილისელმა ლია ხუზაურაშვილმა მოიგო (71,15 ქულა), კანდიდატთა და პირველთანრიგოსანთა შორისაც თბილისელებმა იმარჯვეს — შესაბამისად ეთერ ჭანტურიამ (64,15) და ირინე ჩვინაშვილმა (67,6), მეორეთანრიგოსნებში ყველას აჭარელმა ირმა დევაძემ აჯობა — 70,925.

ოსტატ ვაჟთა პაექრობა თბილისელი ლევან სისაურის გამარჯვებით დამთავრდა — 107,0, ოსტატობის კანდიდატებში მისი თანაგუნდელი ელდარ ფუნთუშაშვილი აღმოჩნდა უძლიერესი — 103,3. პირველთანრიგოსანთა შორის პირველობა ზუგდიდელმა ზაზა ყალიჩავამ მოიპოვა (106,2), მეორეთანრიგოსნებში — აჭარელმა გენადი სურმანიძემ (97,1).

— უნდა ითქვას, რომ ამდენი მონაწილე არც ერთ წინა ტურნირს არა ჰყოლია — გვითხრა განათლების სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური სპორტული სკოლის ინსტრუქტორმა ტანვარჯიშში სამსონ ბაქანიძემ — სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ ცალკეულ რეგიონებში (ზუგდიდი, ქუთაისი, აჭარა, აფხაზეთი) იმედისმომცემი ათი-თერთმეტი წლის გოგო-ბიჭები გამოჩნდნენ. დასასრულ ერთი შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებამ საინტერესო სპორტულ ბრძოლაში ჩაიარა, მსაჯობა მაღალი დონით არ ვამოირჩეოდა.

„ლელოს“ კორ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნობაში

ოლეგ სტრიჟაკოვი კვლავ პირველია!



იმ პერიოდშიც, როდესაც საქართველოში მძლეოსნობას სხვა გაქანება და სხვა წარმატებები ჰქონდა, ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება მეტად საპატიო მიღწევად ითვლებოდა ჩვენი მძლეოსნებისათვის. უკანასკნელ ხანს კი ჩემპიონთა რიცხვი რესპუბლიკაში ძალიან შემცირდა და უკვე 6 წელიწადია ასეთი გამარჯვების მოწმენი აღარ ვყოფილვართ. ახლა კი ნავსი გატყდა მძლეოსნობის სწორედ იმ სახეში, რომელშიც ადრე წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტად მიგვაჩნდა: 23 წლის თბილისელმა სტაიერმა **ოლეგ სტრიჟაკოვმა** („დინამო“) კიევში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში 28.38,85 აჩვენა და 10 კმ-ზე რბენაში ოქროს მედალი მოიპოვა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა სტაიერულ რბენაში საერთოდ პირველმა მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედალი. ამ წარმატების მნიშვნელობა მით უფრო იზრდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპის ჩემპიონატი კარს მოგვადგა. სამწუხაროდ ისე მოხდა, რომ ოლეგ სტრიჟაკოვმა კეთილი ნების თამაშებში ვერ იასპარეზა — ნაკრების მწვრთნელებმა გუნდის ღირსების დაცვა სხვა, როგორც შეჯიბრებაზე გამოჩნდა, უფრო სუსტ მორბენლებს მიანდეს. აქვე უნდა ითქვას, რომ თბილისელმა სპორტსმენმა კიევში 5-კმ-იან დისტანციაზეც სცადა ძალა და მე-5 ადგილი დაიკავა — 13,48,76.

აქ არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას ჩემპიონის მწვრთნელზე, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ვიტალი ქადეიშვილზე, რომელმაც „აღმოაჩინა“, გაზარდა და დააოსტატა თავის მოწაფე.

ბიბლიოთეკა

ამბერიდან — პირველ ჯგუფში

მოსკოვში, „მიტიშჩის“ სასროლეთზე დამთავრდა მესტენდურეთა საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ადგილიდან სროლაში. საქართველოს გუნდმა შოთა თავაძისა და არჩილ საბედაშვილის შემადგენლობით 274 ქულა მოაგროვა და II ქვეჯგუფში I ადგილი დაიკავა. დებულების თანახმად, ჩვენი ადგილიდან მსროლელები მომავალ საკავშირო ასპარეზობებზე, ათწლიანი ინტერვალის შემდეგ, I ჯგუფში იასპარეზებენ.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში ამ დღეებში ორი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა: მაიაკოვსკში გაიხსნა ახალი საჭადრაკო კლუბი „მაია“, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების მშრომელებმა კი ცურვის მოყვარულთა კლუბის „ნეპტუნის“ გახსნა იზეიმეს.

იხ. მე-2 გვ.

ციტატა

ცხენთან და ცხენოსნობასთან თუ მეცხენეობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განსაკუთრებით აინტერესებს ჩვენს საზოგადოებრიობას. ცხენი —ბუნების ეს მშვენიერი ქმნილება და გონიერი არსება — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებშიც ერთგულად ემსახურება ადამიანს. ერთ-ერთი რომანტიკული სახეობა, რომელმაც ცხენს კვლავ მიუჩინა ადგილი ჩვენს ცხოვრებაში, არის საცხენოსნო ტურიზმი. „უნაგირზე დასვენებამ“ დიდი პოპულარობა მოიპოვა, ჩვენშიც და უცხოეთშიც საცხენოსნო ტურიზმს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს.

ენთუზიასტების, კერძოდ ზ. ვაშაკიძის ხელმძღვანელობით, საცხენოსნო ტურიზმის პირველი ჯგუფი თბილისის იპოდრომზე ჩამოყალიბდა. შემუშავდა ერთდღიანი, ორდღიანი, მრავალდღიანი მარშრუტები. საქმე კარგად აეწყო, მაგრამ... აი, 15 ივლისს „მოლოდიოჟ გრუზიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი — „ცხენები წრეზე დარბიან...“ ახალგაზრდული გაზეთი

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

МОЛОДЕЖЬ ГРУЗИИ

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

მწვავედ, მისთვის ჩვეული პრინციპულობით აანალიზებს გულგრილობის ფაქტებს, აღნიშნავს, რომ საცხენოსნო ტურიზმი თბილისის იპოდრომზე შემთხვევითმა ადამიანებმა ჩაშლამდე მიიყვანეს. გაზეთი სამართლიანად წერს, რომ ამ საქმეში აუცილებელია რეორგანიზაცია.

ახლა გთავაზობთ ერთ ციტატას დასახელებული წერილიდან:

„საქართველოს ბუნება თითქოს საგანგებოდ ტურიზმისათვის არის შექმნილი. ისტორიული ძეგლების დიდი ნაწილი სოფლებშია მიმოფანტული და მათი ნახვა ხშირად მხოლოდ საცხენოსნო-ტურისტული ლაშქრობის დროს ხდება შესაძლებელი... აი, რატომ არის, რომ საცხენოსნო ტურიზმის დამოუკიდებელი ინდუსტრიის განვითარება ყოველმხრივ სასარგებლო საქმედ გვესახება. აი, რატომ ვართ მომხრენი საცხენოსნო ტურიზმის რეორგანიზაციისადმი საქმიანი მიდგომისა, საბერო სიმაღლემდე მისი აყვანისა“.

ᲒᲕᲘᲛᲠᲐᲕᲚᲝᲡ!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲡᲕᲚᲐ

11-12 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ქუთაისმა და მაიაკოვსკმა ტრადიციული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლეს დიდი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის დღეების მონაწილეებს. ეს იყო პოეზიისა და მეგობრობის, ახალგაზრდობისა და სპორტის ნამდვილი ზეიმი, სხვადასხვა თაობის საინტერესო შეხვედრების, აზრთა გაზიარების, გულახდილი დიალოგების დღეები.

მაიაკოვსკში გამართულ ზეიმს ლაზათი შემატა ჭადრაკის დედოფლის, სამგზის მსოფლიოს ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის სტუმრობამ.

რაიონის მშრომელებმა კიდევ ორი შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს.

პოეტი-ტრიბუნის სახელი უწოდეს მაიაკოვსკელმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა ახალგაზრდულ კლუბს, რომელიც აქ საზეიმოდ გაიხსნა პოეზიის დღეებში. ეს კლუბი ბაღდადის ძველი ციხის ნაფუძარზე შეიქმნა არქიტექტორ ა. ქოჩიაშვილის პროექტით. მდინარე ხანისწყლის ულამაზეს სანახებთან ბუნებრივად შერწყმული ამ ორიგინალური ნაგებობის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აქაური კომკავშირელები და სპორტსმენი ახალგაზრდობა.

შემდეგ მაიაკოვსკის დღეების მონაწილეებს ფართოდ გაეღო კარი ახალმა საჭადრაკო-საშაშო კლუბმა. ამ დღეს დიდხანს ელოდნენ რაიონის სპორტის მოყვარულები. მაიაკოვსკში ჭადრაკის პოპულარობას ისიც მოწმობს, რომ დღითი დღე იზრდება თანრიგოსან მოჭადრაკეთა რიცხვი. შექმნილია რამდენიმე სპორტული ჯგუფი. ნორჩი მოჭადრაკეები საკმაო წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. სწორედ ამ მიღწევებმა განაპირობა, რომ სპორტკომიტეტის თაოსნობით, რაიონის კულტურულ-სპორტული კომპლექსის საყოფრდინაციო საბჭოს, ჭადრაკის რაიონული ფედერაციის აქტიური მხარდაჭერითა და საშეფო ორგანიზაციის — ავეჯის ფაბრიკის კოლექტივის დახმარებით მაიაკოვსკში ახალი კლუბი გაიხსნა.

ისევე, როგორც ახალგაზრდულ კლუბს, საჭადრაკო-საშაშო კლუბსაც გზა დაულოცა მაია ჩიბურდანიძემ.

— სიხარულის გრძნობა გეუფლება, — თქვა მაიამ თაყვანისმცემლებთან და ჟურნალისტებთან საუბარში, — როცა ხედავ, როგორ უყვართ მაიაკოვსკელებს ჭადრაკი. მინდა კიდევ ერთხელ მივულოცო მათ ეს შესანიშნავი საჩუქარი. ბევრ რაიონში ვყოფილვარ და საჭადრაკო კლუბების გახსნასაც დავსწრებივარ, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მაიაკოვსკელთა კლუბი ერთ-ერთი საუკეთესოა. ამ მშვენიერ დარბაზში ვარჯიშიც შეიძლება და სხვადასხვა შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებაც. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ნიჭიერი გოგონებისა და ბიჭების გამოვლენა-დაოსტატებას.

...დარბაზი ჭადრაკის მოყვარულებს ვერ იტევდა. მაიამ პირველი სიმბოლური სვლა გააკეთა და კიდევ ერთმა საჭადრაკო-საშაშო კლუბმა მუშაობა დაიწყო.

ჭადრაკის გულშემატკივრებმა, ჩიბურდანიძის ნიჭის თაყვანისმცემლებმა ერთხმად გადაწყვიტეს კლუბისათვის „მაია“ ეწოდებინათ და თავის მხრივ ჩემპიონს ახალი წარმატებები, მომავალ დიდ ბრძოლაში გამარჯვება უსურვეს.

კლუბის ახალგაზრდა დირექტორს, სპორტის ოსტატობის კანდიდატ მარინე თავაძეს დიდი გეგმები აქვს დასახული. კლუბის გახსნის დღეს დაიწყო მოჭადრაკეთა რაიონული პირველობა. გაიმართა პირველი ტურის შეხვედრები.

თამაზ ხარაბაძე.
(„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი).
მაიაკოვსკი.



ახალი საჭადრაკო კლუბის პირველი სტუმრები.

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲓᲐᲤᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გუნდური საჭადრაკო ჩემპიონატი (მთავარი მსაჯი სპორტის ოსტატი ა. ბლაგიძე). შეჯიბრებაში მონაწილეობდა ცხრა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის გუნდი (გუნდში — სამი ვაჟი და ერთი ქალი). ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ქვეჯგუფებში პირველ ადგილზე გასული მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის გუნდები. ანგარიშით 4:0 გაიმარჯვეს და აკადემიის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს მათემატიკოსებმა. მესამე ადგილზე ფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივი გავიდა.

დაფების მიხედვით გაიმარჯვეს უფროსმა მეცნიერ-თანამშრომლებმა ს. ჩობანიანმა, ნ. გოგუაძემ, თ. ებანოიძემ და ლაბორატორიის გამგემ ლიანა ხაჩაპურიძემ.

თამაზ გორგაძე.

ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ — „ᲜᲔᲠᲬᲣᲜᲘᲡ“ ᲐᲕᲢᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ᲘᲛ დღეს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების სპორტკლუბ „გამარჯვების“ საზეიმოდ მორთულ საცურაო აუზში. ქარხნის მშრომელებმა ცურვის კვირეულს დაუკავშირეს თავიანთ საცურაო აუზში ცურვის მოყვარულთა კლუბის „ნეპტუნის“ გახსნა.

ცურვის მოყვარულთა კლუბის საზეიმო გახსნის ცერემონიალი ასე დაიწყო. წყლიდან „ნეპტუნმა“ ამოყვინთა და აუზის ხელმძღვანელობას გადასცა... თავისი ავტოპორტრეტი, ამიერიდან ნეპტუნის ეს ჭედური პორტრეტი ცურვის მოყვარულთა კლუბის ემბლემა გახდება.



ცურვის მოყვარულთა კლუბის თავმჯდომარე გენადი შარაიძე „ნეპტუნის“ ავტოპორტრეტს გადასცემს ნორჩ მოცურავე გოგიტა აბზიანიძეს. მარჯვნივ — ვლადიმერ აბზიანიძე.

— ჩვენს აუზში აქამდე არავითარი პირობები არ გვქონდა,—გვითხრა აუზის დირექტორმა ვალერი კარანაძემ. — არ იყო შხაპი, კეთილმოწყობილი გასახდელები. ამიტომ აქ თითო-ოროლა ცურვის მოყვარული თუ დადიოდა. რეკონსტრუქციის შემდეგ აუზი ყოველმხრივ კეთილმოეწყო. ახლა აქ საჭყუმპალოაც არის. ასე რომ, სპორტული მუშაობის გასაჩაღებლად ყველა პირობაა შექმნილი. აუზის ხშირი სტუმრები გახდნენ ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, მათი შვილები. ქარხნის თანამშრომლები შესვენებაზე ჩვენთან მოდიან და ცურვის შემდეგ მეტი ენერგიითა და უკეთესი გუნება-განწყობილებით მუშაობენ. მომავალში განზრახულია აუზი გადავხუროთ, სხვა გეგმებიც გვაქვს.

ცურვის მოყვარულთა კლუბის გახსნის დღეს აქ გაიმართა მოცურავეთა შეჯიბრება, მასობრივი ცურვა სპორტულ შეჯიბრებებს თავისებურ ლაზათს მატებდა ქარხნის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „იბერიას“ გამოსვლა.

ცისფერ ბილიკზე პირველებმა საწარმოს მეორე საამქროს ელექტრომემონტაჟემ ვლადიმერ აბზიანიძემ ყვინთა და აუზის ხელმძღვანელობას გადასცა... თავისი ავტოპორტრეტი, ამიერიდან ნეპტუნის ეს ჭედური პორტრეტი ცურვის მოყვარულთა კლუბის ემბლემა გახდება.

— ჩვენს აუზში აქამდე არავითარი პირობები არ გვქონდა,—გვითხრა აუზის დირექტორმა ვალერი კარანაძემ. — არ იყო შხაპი, კეთილმოწყობილი გასახდელები. ამიტომ აქ თითო-ოროლა ცურვის მოყვარული თუ დადიოდა. რეკონსტრუქციის შემდეგ აუზი ყოველმხრივ კეთილმოეწყო. ახლა აქ საჭყუმპალოაც არის. ასე რომ, სპორტული მუშაობის გასაჩაღებლად ყველა პირობაა შექმნილი. აუზის ხშირი სტუმრები გახდნენ ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, მათი შვილები. ქარხნის თანამშრომლები შესვენებაზე ჩვენთან მოდიან და ცურვის შემდეგ მეტი ენერგიითა და უკეთესი გუნება-განწყობილებით მუშაობენ. მომავალში განზრახულია აუზი გადავხუროთ, სხვა გეგმებიც გვაქვს.

ცურვის მოყვარულთა კლუბის გახსნის დღეს აქ გაიმართა მოცურავეთა შეჯიბრება, მასობრივი ცურვა სპორტულ შეჯიბრებებს თავისებურ ლაზათს მატებდა ქარხნის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „იბერიას“ გამოსვლა.

ცისფერ ბილიკზე პირველებმა საწარმოს მეორე საამქროს ელექტრომემონტაჟემ ვლადიმერ აბზიანიძემ და მისმა ექვსი წლის ვაჟმა გოგიტამ გაცურეს.

უფროს აბზიანიძეს გავესაუბრეთ.

— დღევანდელი დღე ერთ-ერთი ღირსსახსოვარია ჩვენი ქარხნის ცხოვრებაში,—გვითხრა მან.—ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე საცურაო აუზი ჩვენი უსაყვარლესი ადგილია, განსაკუთრებით პატარებს მოეჩქარებათ აქეთ, მათ შორის ჩემს შვილსაც. სხვათა შორის, ბავშვობაში მეც ამ აუზში ვისწავლე ცურვა. მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი ქარხნის დირექციას, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. დარწმუნებული ვარ, მომავალში ისინი უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ სპორტულ-მასობრივ მუშაობას.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲭᲥᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲔᲥᲝ

მწვანე კონცხზე დამთავრდა საქართველოს პირველობა ჭადრაკში 14 წლამდე ასაკის მოსწავლეთა შორის. ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა განათლების სამინისტროს მთავარ მწვრთნელს ჭადრაკში, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს სულიკო მეგრელიშვილს.

⊙ თავდაპირველად შეჯიბრების სპორტული შედეგები გაგვაცანით.

— შეჯიბრება მრავალსაფეხურიანი იყო. წლის დასაწყისში ჩატარდა შესარჩევი ტურნირები ქალაქებსა და რაიონებში, აპრილში კი მოსწავლეები მწვანე კონცხზე შეიკრიბნენ. ასპარეზობაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით (9 ტურად) ჩატარდა, სულ 130 მოსწავლე მონაწილეობდა. ამან საშუალება მოგვცა შეგვერჩია 14-14 უძლიერესი ყმაწვილი და გოგონა, რომლებიც მაისის მეორე ნახევარში წრიულ ტურნირში რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებისთვის იბრძოდნენ.

რესპუბლიკის პირველობამ ახალი სახელები, ნიჭიერი მოჭადრაკეები გაგვაცნო. დავრწმუნდით, რომ ამაღლებულა მოსწავლეთა საერთო მომზადების დონე. კაცმა რომ თქვას, სენსაციური შედეგისთვის არც ყმაწვილებს და არც გოგონებს არ მიუღწევიათ. გაიმარჯვეს მათ, ვისაც, ჩვენი აზრით, უნდა გაემარჯვა. ასე მაგალითად, ამ ბოლო დროს მოსწავლეთა შეჯიბრებებზე ყურადღებას იპყრობს ცხაკაიელი ოსტატობის კანდიდატი რომან სიპინავა (მწვრთნელი — ოსტატობის კანდიდატი გოჩა ტყეებუჩავა). ეს ყმაწვილი თეორიულად კარგად არის მომზადებული. მართალია, რამდენადმე უფერულად თამაშობს (ამ ნაკლის გამოსწორებაზე მწვრთნელმა უნდა იზრუნოს), მაგრამ, რაც მთავარია, მეტად საიმედოდ, დინჯად და აუღელვებლად იბრძვის. ამჯერად იგი ყველასგან გამოირჩეოდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც საბოლოო შედეგი — 11 ქულა 13 შესაძლებლიდან! რომანს არც ერთი პარტია არ წაუგია. 9,5 ქულით მეორე იყო ქუთაისელი შოთა კუპუხიძე, რომელსაც ოსტატობის კანდიდატი ალექსანდრე რაზოვსკი ამეცადინებს. 9 ქულით მესამე ადგილზე გავიდა თბილისელი დათო უთმელიძე (მწვრთნელი — ოსტატობის კანდიდატი მზია ლოლიშვილი).

ᲨᲣᲥᲘ ᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲘ

გოგონათა შორის ყურადღება მიიქციეს 11 წლის ქუთაისელმა თეა ლანჩავამ (მწვრთნელი ა. რაზოვსკი) და 13 წლის ოჩამჩირელმა ეკა კემულარიამ. ჩემპიონობისთვის ბრძოლა სწორედ მათ შორის წარიმართა. პირად შეხვედრაში ლანჩავამ გაიმარჯვა. საბოლოოდ 13 შესაძლებლიდან ორივე მოჭადრაკემ 11 ქულა მოაგროვა (საკმაოდ მაღალი შედეგია!), მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით პირველი ადგილი ლანჩავას მიეკუთვნა. ქუთაისელი გოგონა, უპირველეს ყოვლისა, ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა. რაც შეეხება ეკა კემულარიას, მართალია მას მეტი სატურნირო გამოცდილება აქვს და კარგადაცაა მომზადებული, მაგრამ ფიქრს უფრო დიდ დროს ანდომებს. 9,5 ქულით მესამე იყო 12 წლის წულუკიძელი ინგა ხურცილავა (მწვრთნელი — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი თენგიზ ხარლამიდი). ხურცილავას თეორიული „საგზალი“ ჯერჯერობით ღარიბია, მაგრამ იგი შეუპოვარი მებრძოლია და უიმედო პოზიციებშიც კი არ ჰყრის ფარხმალს.

⊙ კიდევ ვინ მიიქცია თქვენი ყურადღება?

— უდავოდ ნიჭიერი ყმაწვილია ახალციხელი დათო სამსონიძე, რომელსაც კარგი კომბინაციის მოფიქრებაც შეუძლია და შეტევის მაღალ დონეზე წარმართვაც, ოღონდ რატომღაც მეტისმეტად ჩქარობს ხოლმე. ნიჭიერია რუსთაველი ზურაბ იგრიაშვილიც, მაგრამ ისიც ჩქარობს და ამის გამო ხშირად კარგ ჩანაფიქრს ვერ ახორციელებს. სხვათა შორის, აჩქარება ამ ტურნირზე ყმაწვილთა საერთო ნაკლი აღმოჩნდა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა თბილისელმა ნინო ხურციძემ. ყურადღება მიიპყრო 10 წლის თბილისელმა თამარ ფაჩულიამ. ეს სრულიად გამოუცდელი მოჭადრაკე ბოლომდე შესაშური შემართებით იბრძოდა და რამდენჯერმე მძიმე პოზიციიდანაც კი დაიხსნა თავი. საბოლოოდ თამარმა 8 ქულით მეხუთე ადგილი დაიკავა.

⊙ ძირითადად რა ნაკლი შეამჩნიეთ ნორჩ მოჭადრაკეებს?

— მათი უმრავლესობა ძალზე იმპულსურად მოქმედებს. ცხადია, ამის მიზეზი ასაკი გახლავთ. ასე რომ, ამ ნაკლს ისინი თანდათან დაძლევენ. ბევრი მოსწავლე თეორიულად ცუდად არ არის მომზადებული, მაგრამ აშკარაა მეტი მუშაობა მართებს. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: წაგების შემდეგ ზოგიერთი მშობელი ზედმეტად მკაცრად ექცევა თავის შვილს, ზოგი მათგანი მსაჯების გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებასაც კი იტოვებს, რაც დაუშვებელია.

დასასრულს ვიტყვი, რომ მოსწავლეთა პირველობის შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია. დიახ, ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე გვეზრდება, მაგრამ მთავარი ის არის, არ დაგვავიწყდეს, რომ ბავშვებს სწორ გზაზე დაყენება სჭირდებათ.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲖᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ-86

„ᲛᲖᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ“ ᲛᲖᲘᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ რაიონის პიონერთა საქალაქო ბანაკ „მზიანეთში“ 130 ბავშვი ისვენებს. მათ განკარგულებაშია მწვანეში ჩაფლული კეთილმოწყობილი ეზო, პატარა კოტეჯები, სპორტული მოედანი, საცურაო აუზი.

ყოველ დილით ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიში, პიონერული ხაზი, ბავშვები შინაარსიანად ატარებენ დროს. ხალისით მონაწილეობენ თამაშში „დედას პური“.

ამას წინათ ტურისტული ლაშქრობა მოაწყვეს მარშრუტით: ვაკის პარკი—კუს ტბა—ვაკის პარკი. საბინაო-საკულტურო-საგანმანათლებლო ბანაკის პიონერებს შეეჯიბრნენ ფეხბურთში, გამართეს „მზიარული სტარტები“ და ა. შ. ბავშვებმა მოინახულეს კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე, პიონერული ქალაქი „მზიური“. ბანაკში ჩატარდა ასფალტზე ხატვის კონკურსი თემაზე: „დაე, მუდამ იყოს მზე“, „ზღაპრების კონკურსი“.

ბანაკში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ბავშვებმა კარგად დაისვენონ. „მზიანეთს“ მართლაც მზიანი დღეები აქვს.

ᲒᲔᲚᲐ ᲖᲐᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

ივლისს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ტურნირი.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 1:1 (1:0). პირველი ტაიმი მოსკოველთა საუკეთესო ბომბარდირმა ი. სავიჩევმა გაიტანა მე-18 წუთზე. კიეველებმა ბოლოდ მატჩის დასასრულს აღიდგინეს თანაფარდობა — 1:1 (მიხეილ ფენჯკო).

აღფრთხილეს მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელი პრიგოდა.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი (თბილისი), ჯ. წერეთელი (რუსთავი), უ. ფურცელაძე (თბილისი).

დუბლიორები — 0:1.

„დნეპრი“ — „სპარტაკი“ 1:3 (1:2). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ხიდიატულინმა და ჩერენკოვმა-2 (ერთი — პენალტით), ხოლო „დნეპრის“ მხრივ — პროტასოვმა.

გააფრთხილეს სპარტაკელი ფეხბურთელი ბუბნოვი.

დუბლიორები — 5:2.

გათამაშების ცხრილი

„ტორპედო“ (მოსკოვი)	16	7	7	2	21-12	21	(—11)
„შახტიორი“ (დონეცკი)	16	7	5	4	22-14	19	(—13)
„დინამო“ (მოსკოვი)	15	7	4	4	18-15	18	(—12)
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	17	7	4	6	19-17	18	(—16)
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	17	7	4	6	15-17	18	(—16)
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	16	6	6	4	26-18	18	(—14)
„ნეფტჩი“ (ბაქო)	17	6	6	5	20-17	18	(—16)
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	17	6	6	5	25-23	18	(—16)
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	16	6	4	6	27-14	16	(—16)
„დინამო“ (თბილისი)	17	4	8	5	14-18	16	(—18)
„დინამო“ (მინსკი)	16	6	2	8	15-25	14	(—18)
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	16	4	6	6	14-15	14	(—18)
„დინამო“ (კიევი)	10	4	5	1	15-8	13	(— 7)
„ქაირარი“ (ალმა-ათა)	16	4	5	7	12-23	13	(—19)
„არარატი“ (ერევანი)	17	3	5	9	10-20	11	(—23)
„ტორპედო“ (ქუთაისი)	17	3	5	9	14-31	11	(—23)

● მდგომარეობა 19 ივლისისთვის

...ლილებები ევროპის კლუბებში

...ანასკენელ ხანს ევროპის ...ასტვა ცნობილ კლუბებში არა... საყურადღებო ცვლილება ... გთავაზობთ ზოგიერთ მათ...

...ტბარსკი (გფრ-ის ნაკრები) და **...ჩესკოლი** (ურუგვაის ნაკრები) ...ოდან პარიზის „რესინგში“ ...ებენ, **კ-ჰ. ფიორსტერი** (გფრ-ის ...ბი) — მარსელის „ოლიმპი... **დანიელ ლერბი** — „მონა...“, ...ბოფლიო ჩემპიონატის სა...ბოს სხაპერი **ლინეკერი** (ინ...ის ნაკრები) — „ბარსელონა“, ...არგენტინის ნაკრების ყოფი...კაპიტანი **პასარელა** — მილა...ს „ინტერნაციონალში“, საფრა...ის ნაკრების წევრი **პაპინი** — ...ეს „სერვეტში“, ამავე ნაკრე...ის ერთი მოთამაშე **ფერნა...** — პარიზის „რესინგში“, ...ი (საფრანგეთის ნაკრები)— ...ი „რესინგში“, **ფერერი** (საფ...ეთის ნაკრები) ბორდოს „ჟი...ირონდენი“, **ბრიგელი** (გფრ-ის ნა...ი) — გენუის „სამპდორიაში“, მექსიკის ნაკრების წევრი **ნეგრეტე** — მადრიდის „ატლეტიკოში“, ესპანეთის ნაკრების მეკარე **სუბიზარეტა** — „ბარსელონაში“, მაროკოს ნაკრების მეკარე **ზაკი** — ესპანეთის პირველი ლიგის კლუბ „პალმა დე მაიორკაში“, მექსიკის ნაკრების მოთამაშე **აგირე**—ბილბაოს „ატლეტიკში“, **ვუიჩიცკი** (პოლონეთი) — საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბ „ოსერში“, **ნადი** (უნგრეთი) — „ნანსიში“ (საფრანგეთი), **სერები** (საფრანგეთის ნაკრები) — „პარი სენ-ჟერმენში“, **სუნესი** (შოტლანდია) იტალიიდან სამშობლოში, „გლაზგო რეინჯერსში“ დაბრუნდა. **ბერგგრეენი** (დანიის ნაკრები) ამერიკიდან „რომაში“ გამოვა, **ჰანიჰი** (უნგრეთი) — „ნანსიში“ ითამაშებს, **სმოლარეკი** (პოლონეთი) — მაინის ფრანკფურტის „აინტრახტში“, **ბრეშე** (გფრ)— მიუნჰენის „ბაიერნში“, ბელგიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი **ვანდენბერგი** კი ლანის (საფრანგეთი) „რესინგში“.

ეს იყო 1928 წელს...

... სუფათი 1928 წელსაა გადაღებული საკავშირო სპარტაკიადის და...ების შემდეგ. ჩვენი რესპუბლიკის წამყვანმა სპორტსმენებმა, რო...ბიც ესაა დაბრუნდნენ მოსკოვის პირველი დიდი სპორტული ფო...ოდან, მორიგი წვრთნა ჩატარეს თბილისში ლენინის სახელობის ...ტადიონზე.

...ბრუნდან პირველი დგას ცნობილი სპორტსმენი და მწვრთნელი, ...ტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვ...ელი ბორის დიაჩკოვი. მის გვერდითაა სახელოვანი ქართველი კალა...ბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან ფალავანდიშვი...ბურთელი თამარ ჩიმერინა, მარჯვნივ პირველი კი —რესპუბლიკის ...ერთი უძლიერესი მძლეოსანი პავლე თედეევი.

ფოტო რედაქციას ხაკუთარი არქივიდან მოაწოდა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ნიკოლოზ მეტონიძემ.

კეთილი ნების თამაშები



მედლები განაწილდა

იურმალა. უამინდობის გამო ჩოგბურთელთა ტურნირი ერთობ შემჭიდროებულ ვადებში ჩატარდა. მიუხედავად ამისა, ყველა ფინალური ბრძოლა საინტერესო და დაძაბული გამოდგა. მაგრამ სანამ მათ შესახებ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, ერთი-ორი სიტყვა ქალთა წყვილებზე უნდა ვთქვათ, სადაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ლეილა მესხი მენსკელ ნატალია ზვერევასთან ერთად ასპარეზობდა.

საბჭოთა დუეტმა ნახევარფინალამდე მიაღწია, იქ დამარცხების შემდეგ კი III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის უფლება შეინარჩუნა. გადამწყვეტ შეხვედრაში მესხისა და ზვერევას დუეტს ამერიკელების — კულმანისა და რეისის სახით ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ. საბჭოთა ჩოგბურთელებმა ბოლომდე თავგამოდებით იბრძოლეს, მაგრამ გამარჯვება მაინც ამერიკელებს დარჩათ — 7:5, 6:4. მათ ბრინჯაოს მედლები მიიღეს. სამაგიეროდ მეორე საბჭოთა წყვილმა (პარხომენკო — საგჩენკო) კარგად ჩაატარა ფინალური შეხვედრა ი. ბუდაროვა — მ. სკუხერსკაიასთან (ჩეხოსლოვაკია) და პირველი ადგილი დაიკავა — 6:3, 6:3.

ვაჟთა წყვილებშიც საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელთა თავისებური მიკრო-მატჩი გაიმართა. ზვერევმა და ს. ლეონიუკმა ფინალში მ. ვაიდასა და კ. ნოვაჩეკს აჯობეს (6:7, 6:4, 2:6, 6:3, 6:4) და ოქროს მედლები დაისაკუთრეს.

ქალთა ერთეულების ფინალში აშშ-ს წარმომადგენელმა კ. კულმანმა თანაგუნდელი ბ. ბოუზი დაამარცხა (6:4, 7:5). ვაჟთა შეჯიბრების ფინალში კი ა. ჩესნოკოვმა (სსრ კავშირი) მ. ვაიდას (ჩეხოსლოვაკია) აჯობა — 6:3, 6:2, 6:4.

სსრ კავშირისა და ბრაზილიის ფრენბურთელ ვაჟთა შეხვედრის ერთი ეპიზოდი.

საკდეს-საქინფორმის ფოტო.

● რაგორ გაქვთ საქმე, ლიდერებო?

ტალინი. კიდევ ცოტაც და აფროსანთა მარათონი ფინიშის ხაზს გადაკვეთს. გამოვლინდებიან კეთილი ნების თამაშების ჩემპიონები ყველა კლასში. ჯერჯერობით კი ხუთი სერიის რბოლების შემდეგ ასეთი მდგომარეობაა:

„ვარსკვლავის“ კლასში გურამ ბიგანიშვილი ამერიკელ მარკ რეინოლდსს 3 ქულით ჩამორჩება. აქ ყველაფერი, როგორც ჩანს, ბოლო რბოლაში გაირკვევა.

შეჯიბრების წესების თანახმად, მეხუთე რბოლის შემდეგ მონაწილეებს ერთი, ყველაზე სუსტი ცდის შედეგი დააკლდათ. ამან ლიდერთა შედეგებში გარკვეული კორექტივები შეიტანა.

„470“ კლასი (ვაჟები). მ. რიზერი (აშშ) — 0 ქულა. მეორე ადგილზე მყოფ ბ. ჰეფტს (გდრ) 17,4 საჯარიმო ქულა აქვს.

„470“ (ქალები). კ. ჯონსონი (კანადა) — 3 ქულა, პ. ჰერნდონი (აშშ) — 11,4.

„ტორნადო“. ი. კონოვალოვი (სსრ კავშირი) — 3, ე. სკიპი (აშშ) — 9.

„მფრინავი ჰოლანდიელი“. ა. შპილკო (სსრ კავშირი) — 0, ჯ. ბრაუნი (აშშ) — 14,4.

„სოლინგი“. ჯ. კოსტეკი (აშშ) — 3, გ. შაიდუკო (სსრ კავშირი) — 8,7.

„ვინდგლაიდერი“ (ვაჟები). ე. ბოგოტირიოვი (სსრ კავშირი) — 11,7, მ. გიოპაჰრტი (აშშ) — 19,7.

„ვინდგლაიდერი“ (ქალები). ი. ბუჟინსკა (პოლონეთი) — 6, ი. კაზაკოვა (სსრ კავშირი) — 11.

„ფინი“. ო. ხოპერსკი (სსრ კავშირი) — 0, დ. პატელკოფი (გდრ) — 14,4.

ფინიში სულ ახლოა

ხელბურთელ ვაჟთა ტურნირში ოქროს მედლების მფლობელის ვინაობა შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე გაირკვა. საბჭოთა სპორტსმენებმა ჩეხოსლოვაკიის ძლიერი გუნდი ერთი ქულის სხვაობით დაამარცხეს 18:17 (9:10) და პირველი ადგილი დაიპაკუთრეს. გამარჯვებულთა შორის ყველაზე აქტიური ალექსანდრე ტუჩკინი იყო. მან მეტოქის კარში 4 გოლი გაიტანა. ჩეხოსლოვაკიელთაგან თავი მიროსლავ ბაიგარმა გამოიჩინა, რომელმაც თავის კოლექტივს 7 ქულა შესძინა.

გათამაშების მეოთხე ტური სხვა მხრივაც იყო აღსანიშნავი. ამ დღეს პოლონეთის გუნდმა პირველი გამარჯვება იზეიმა, თანაც აშშ-ს არც ისე სუსტი ნაკრები დაამარცხა — 21:20 (12:12).

ქალთა შორის ლიდერობას ინარჩუნებს საბჭოთა გუნდი, რომელიც თავის მეტოქეებზე აშკარად ძლიერია. მეოთხე ტურში საბჭოთა კავშირის ხელბურთელებმა აშშ-ს კოლექტივი დაამარცხეს — 23:16 (12:9). სხვა ორი მატჩი ასე დამთავრდა: დანია — უნგრეთი 18:25 (4:12), გფრ — იაპონია 19:15 (9:9).

ამ დღეს ფრენბურთელებსაც დატვირთული დღე ჰქონდათ. მოედანზე საასპარეზოდ გამოვიდნენ ტურნირის მთავარი ფავორიტები საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ვაჟთა გუნდები, რომლებსაც მანამდე მარცხი არ განუცდიათ.

საბჭოთა სპორტსმენებმა პირველი პარტია შედარებით ადვილად მოიგეს — 15:5, მერე კი მძაფრი და უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა. მეორე და მესამე პარტიებში უპირატესობა ფრანგების მხარეს იყო— 15:11, 16:14, დროებითმა წარუმატებლობამ ჩვენი გუნდი გამოაფიზლა და დარჩენილი ორი პარტია უფრო ზუსტად და დაკვირვებით წარმართა, თუმცა უბრძოლველად ფარ-ხმალი არც ფრანგებს დაუყრიათ. უპირატესობას საბოლოოდ საბჭოთა ფრენბურთელებმა მიაღწიეს, რომლებმაც მოიგეს ორი დარჩენილი ხელი — 15:12, 15:13 და მასთან ასპარეზობაც (3:2).

ამ დღეს ბრაზილიელებმა პოლონელებს აჯობეს — 3:1.

ძიუდოისტებმა კეთილი ნების თამაშების რამდენიმე მედალი უკვე გაითამაშეს. მძიმე წონაში ჩემპიონი საბჭოთა ათლეტი გრიგორი ვერიჩევი გახდა, რომელმაც ფინალურ ბრძოლაში 3 წუთსა და 3 წამში აშშ-ს წარმომადგენელი სტივენ კოჰენი დაამარცხა.

გაცილებით უფრო მძაფრი ბრძოლით აღინიშნა ქვემძიმე წონის ათლეტთა ფინალური ორთაბრძოლა, სადაც ერთმანეთს ვიქტორ პოდდუბნი (სსრ კავშირი) და ბალჯინიამ ოდვოინი (მონგოლეთი) შეხვდნენ. რამდენადმე შესამჩნევ უპირატესობას ვერც ერთმა მოჭიდავემ ვერ მიაღწია. გამარჯვებული მსაჯთა გადაწყვეტილებით გამოვლინდა, პირველი ადგილი და ოქროს მედალი პოდდუბნის მიეკუთვნა.

86 კგ. წონითი კატეგორიის ფინალში ერთმანეთს საბჭოთა სპორტსმენები, ევროპის სამგზის ჩემპიონი ვიტალი პესნიაკი და ალექსანდრე სივცევი შეხვდნენ. ბრძოლის ბედი აქაც შეხვედრის ბოლო წუთზე გადაწყდა. სივცევი უფრო აქტიური იყო და მსაჯებმაც გამარჯვება მას მიაკუთვნეს.

მოკრივეთა ტურნირის ფინალში 20 საბჭოთა ათლეტი იასპარეზებს. წონითი კატეგორიების მიხედვით გადამწყვეტ ბრძოლებში გამოვლენ კ. აბდრახმანოვი და ი. მუნჩიანი; რ. ვილიუსი და ა. ჯონსონი (აშშ); ა. არტემიევი და ხ. ხდრიანი; მ. კაზარიანი და ს. ხაჩატრიანი; ო. ნაზაროვი და რ. ელისი (აშშ); ი. რუენიკოვი და ე. პეტროსა (ვენესუელა), ა. ოსტროვსკი და ა. ტოროცენკო; ი. აკოპკოხიანი და ვ. ეგოროვი; რ. ტარამოვი და პ. უაიტი (აშშ), ნ. შანავაზოვი და ა. კარავაევი; რ. სიბოევი და ვ. ბადაი; ა. მიროშნიჩენკო და ვ. იაკოვლევი.

როგორც ხედავთ, საბჭოთა მოკრივეების გარდა ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება ოთხმა უცხოელმა სპორტსმენმა მოიპოვა (მათ შორის სამი ამერიკელია და ერთი ვენესუელელი მოკრივე).

...ბერი

... ...ელ 1986 წ. ...ბ. ...ბ. ...ბ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲠᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ IX ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ᲥᲕᲔᲯᲒᲣᲤᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ნალში გავიდა. დასკვნით ტურში დაწინაურდა ესტონეთის ნაკრებთან — 2,5:1,5 (ერთი პარტია გადადებულია). ფინალში იგი მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ის, ლიტვის და უკრაინის ნაკრებებთან ერთად იასპარეზებს. ჩვენს ქვეჯგუფში I ადგილი (12,5 ქულით) სწორედ უკრაინელმა მოჭადრაკეებმა დაისაკუთრეს.

მოჭადრაკე ქალთა ქვეჯგუფში ბოლო დღეს მოსკოვის გუნდმა მოუგო (2:1) სომხეთის ნაკრებს, უაზახეთის ნაკრებმა — ესტონეთის გუნდს (2,5:0,5). ამრიგად, საქართველოს, მოსკოვისა და უაზახეთის გუნდებმა 7,5-7,5 ქულით I-III ადგილები გაიყვეს, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით ფინალის საგზურები მოსკოვისა და უაზახეთის მოჭადრაკეებმა მიიღეს.

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა გუნდს მსგავსი წარუმატებლობა არ ახსოვს. ახლა ისინი მეორე ფინალში VII-XII ადგილებისთვის იბრძოლებენ.

ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ

ᲯᲐᲞᲠᲝᲭᲘᲔ (ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠ.). საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინასწარ საფეხურთო ტურნირში გადამწყვეტი შეხვედრები გაიმართა საქართველოსა და ტაჯიკეთის, აგრეთვე, მოსკოვისა და უაზახეთის გუნდებს შორის.

ამ ტურში მოსკოვის და უაზახეთის ფეხბურთელებმა ერთმანეთთან ფრედ ითამაშეს — 0:0, რის შემდეგ თითოეულ ამ გუნდს 4-4 ქულა აღმოაჩნდა. მოსკოვისა და უაზახეთის ფეხბურთელებმა გაიანალდეს ფინალში თამაშის უფლება.

საქართველოს ნაკრებმა ვერ დაძლია ტაჯიკეთის ნაკრების წინააღმდეგობა და ფრეს დასჯერდა— 2:2. ჩვენი გუნდი 3 ქულით ფინალის მიღმა დარჩა.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲮᲕᲐᲚ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ. იუგოსლავიის ეროვნულ გუნდთან გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვა. ძველ მეტოქეთა ნახევარფინალური შეხვედრის პირველი ტაიმი იუგოსლავიელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 40:37. შესვენების შემდეგ იუგოსლავიის ნაკრები კიდევ უფრო დაწინაურდა: ძირითადი დროის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე საბჭოთა სპორტსმენები 9 ქულით აგებდნენ შეხვედრას და გამარჯვებულის ვინაობაც ბევრისთვის აღარავითარ ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ ბოლო ორწუთიან მონაკვეთში საბონისმა, ტარაკანოვმა, ვალტერსმა და მათმა მეგობრებმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს — თამაშისთვის განკუთვნილი 40 წუთი რომ ამოიწურა, ანგარიში საყაიმო იყო — 85:85. უშედეგათო ბრძოლა დამატებით ხუთწუთიან ტაიმშიც გაგრძელდა. საბოლოოდ მატჩის ბედი ერთმა ქულამ გადაწყვიტა: ანგარიშით 91:90 გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა. გამარჯვებული აგან ყველაზე შედგიანად ითამ... საბონისმა (25 ქულა) და ტიხონ... კომ (20), ხოლო დამარცხებული... აგან — დრაჟენ პეტროვიჩმა (...

20 ივლისს მსოფლიო ჩემპიონ... ის ფინალურ მატჩში საბჭოთა კალათბურთელები შეხვდებიან ... იკის შეერთებული შტატების ... რებს, რომელმაც მეორე ... ხევარფინალში მოუგო ... ზილიელებს. მესამე ადგილისთ... იბრძოლებენ ხუგოსლავიისა ... ბრაზილიის გუნდები.

1990 ᲬᲔᲚᲡ, ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐᲨᲘ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ XI მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების სურვილი გამოთქვეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, არგენტინამ, პუერტო-რიკომ, კანადამ და მალაიზიამ. ფიბა-ს XIII კონგრესზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ბარსელონაში, გადაწყდა მსოფლიო პირველობის მასპინძლობა არგენტინას დაევალოს. აღსანიშნავია, რომ 1950 წელს სწორედ ამ ქვეყანაში მოეწყო I მსოფლიო ჩემპიონატი. არგენტინა ბრაზილიის შემდეგ მეორე ქვეყანა იქნება, რომელიც მეორედ უმასპინძლებს ამ ასპარეზობას.

ფიბა-ს კონგრესზე ცხარე ... თი გამოიწვია მსოფლიო ჩემ... ნატზე პროფესიონალების დ... ბის საკითხმა. 51 ხმით 49-ის ... აღმდეგ ფიბა-მ გადაწყვიტა მ... ლიო ჩემპიონატზე არ დაუ... პროფესიონალები.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ „ᲠᲑᲘᲚᲘ ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ“?

�თᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲐᲡᲐᲠᲐᲜᲢᲘ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲤᲘᲩᲮᲐᲫᲔ ᲒᲕᲬᲔᲠᲡ: ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲨᲘ „ᲙᲘᲜᲝᲛᲝᲒᲐᲖᲣᲠᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ“ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲨᲔᲜᲖᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲒᲐᲒᲕᲐᲪᲜᲝ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲡᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲔ, ᲒᲝᲗᲮᲝᲕᲗ ᲒᲐᲒᲕᲐᲪᲜᲝᲗ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲠᲔ�გᲣᲚᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ვასრულებთ მის თხოვნას. დღეს გაგაცნობთ ჩინური ვარჯიშის ერთ მიმართულებას, რომელსაც „რბილი ტანვარჯიში“ ჰქვია.

მოძღვრებს, რომლებიც გვასწავლიან ადამიანის გაჯანსაღების მეთოდებსა და ხერხებს, ათასწლოვანი ისტორია აქვს. მათ შორის ე. წ. „რბილი ტანვარჯიში“ დიდი ხანია, წამლური თერაპიის გვერდით, ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

ადამიანის კუნთები, ძარღვები, სახსრები, ძვლები, ე. ი. მთელი სხეული ცხოვრების მანძილზე ცალმხრივ დატვირთვას განიცდის. ამის გამო, სიბერის მოახლოებისას ადამიანის სხეული უფრო ხისტი და ნაკლებმოძრავი ხდება. „რბილი ტანვარჯიში“ კი ავითარებს ყველა კუნთს, სისხლძარღვს, სახსარს და ა. შ. და ადამიანს საშუალებას აძლევს სიბერეშიც შეინარჩუნოს მოქნილობა.

ალბათ შენიშნული გექნებათ, რომ ხანშიშესულებს უფრო ადრე ფეხები უსუსტდებათ (ხელჯოხსაც ამიტომ ხმარობენ). ჩინელები ადამიანის ფეხებს ადარებდნენ ხის ფესვებს, რომელსაც აუცილებელია მივუმატოთ ძალა. ჩვენ სიარულისას თითქმის ყოველთვის პირდაპირ მივდივართ. ამ დროს ჩვენი ფეხები და ტერფები მთლიანად არ იტვირთება, „რბილი ტანვარჯიშის“ ერთ-ერთი კანონია სიმძიმე ერთი ფეხიდან თანდათანობით გადავიტანოთ მეორეზე, და რამდენადაც შესაძლებელია, ვაბრუნოთ, „ვგრიხოთ“ ფეხები. ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ ისინი უფრო მძლავრნი და მოქნილნი გახდებიან.

როდესაც ადამიანი მოძრაობს, სისხლძარღვები ფართოვდებიან, უფრო კარგად ატარებენ სისხლს, ავადმყოფობა ვერ პოულობს ადამიანის ორგანიზმში „ფეხმოსაკიდ ნიადაგს“. რბილი ტანვარჯიშის მიმდევარნი დაუღალავად ავარჯიშებენ ყველა სახსარს, წრიულად აქნევენ თავს, წელში იზნიქებიან და სხვა. ასეთი ვარჯიში, როგორც ითქვა, ადამიანს ეხმარება სიბერით გამოწვეულ ავადმყოფობებთან საბრძოლველად.

დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად სუნთქვას. მსუბუქად სუნთქვის დროს ფილტვების ტევადობა მთლიანად არ გამოიყენება და ნახშირორჟანგის აირის ნაწილი ფილტვებში რჩება, რაც სისხლს აჭუჭყიანებს. ასეთი სისხლით კი ადამიანის ორგანოები ცუდად იკვებება, რის შედეგადაც ირღვევა გულის, ღვიძლის, ფილტვების და ა. შ. მოქმედება, ეცემა ორგანიზმის წინააღმდეგობა სხვადასხვა დაავადებების მიმართ.

„რბილ ტანვარჯიშში“ ჯამოყენებულია „მუცლის არით სუნთქვა“ დიაფრაგმის მეშვეობით. ამ დროს სუნთქვა „რბილდება“, რაც ხელს უწყობს საშვლის უკეთ მონელებას და სხვადასხვა სეკრეციების გაძლიერებულ გამოყოფას. „რბილი“ ტანვარჯიშის ილეთების შესრულებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის განაწილებას: ზოგიერთი მოძრაობისას აუცილებელია ჩასუნთქვა, ზოგიერთისას კი — ამოსუნთქვა.



ბავშვობაში ალბათ თამაშისას გიცდიათ, რაც შეიძლება ხანგრძლივად შეგეჩერებინათ სუნთქვა. უნდა ითქვას, რომ სუნთქვის შეჩერება სინამდვილეში საბავშვო გასართობი კი არ არის, არამედ ვარჯიშის შესანიშნავი საშუალებაა. ამ დროს ადამიანის ორგანიზმი მავნე აირებისაგან თავისუფლდება. ოღონდ აქაც სიფრთხილეა საჭირო. სუნთქვის შეჩერება იმ დრომდე შეიძლება, ვიდრე გულისცემის სიხშირე მკვეთრად მოიმატებს (დაახლოებით 100-მდე). ამის შემდეგ სუნთქვის შეკავება არანაირ ეფექტს აღარ იძლევა.

დღეს გვინდა შემოგთავაზოთ ჩინური „რბილი ტანვარჯიშის“ ერთ-ერთი სერია, რომელსაც „აბრეშუმის ძაფის ქსოვა“ ჰქვია. ამ სერიის მოძრაობები ისეთი რბილი და აუჩქარებელია, თითქოს მართლაც ჭიის პარკიდან აბრეშუმის ძაფს წელავთ. ყოველი მკვეთრი მოძრაობა „ძაფის გაწყვეტას“ ე. ი. ვარჯიშის ეფექტიანობის დარღვევას გამოიწვევს.

ვარჯიშის აუჩქარებლად შესრულების შემდეგ აუცილებელია სუნთქვის შეკვრა პულსის 9-12-ჯერ დარტყმის მანძილზე, შემდეგ კი ასევე ნელი მოძრაობით საწყის პოზიციაში დაბრუნება.

„რბილი ტანვარჯიშის“ სუნთქვითი ვარჯიშების შესრულებამ ნელ-ნელა უნდა მიგვიყვანოს შემდეგ სამ საფეხურამდე: პირველი გულისხმობს ხანდაზმული, სხეულებადაყოლილი ადამიანის სხეულისა და აზრების გათავისუფლებას ავადმყოფობისაგან და მისი სუნთქვის გარდაქმნას. მეორე საფეხური გულისხმობს სუნთქვის გასუფთავებას, და სულიერად გაძლიერებას, მესამე — სულიერი სიძლიერით სიმშვიდის მოპოვებას. სამივე საფეხურის გავლის შემდეგ სხეულებაშეყრილი ხანდაზმული ადამიანი პრაქტიკულად ჯანმრთელია და სულიერი ძალით ივსება.

პირველ საფეხურზე მოვარჯიშემ ისე გულმოდგინედ უნდა შეისწავლოს ვარჯიშები, აგრეთვე მათი თანამიმდევრობა, რომ ისინი მისთვის ბუნებრივ მოძრაობებად იქცეს. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს სუთქვითი ვარჯიშები. ყველა ვარჯიში ემსახურება ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ „დარბილებას“, მოშვებას, რითაც მიიღწევა ვარჯიშის საბოლოო მიზანი — ადამიანი შეიძენს უმაღლეს სულიერ და ფიზიკურ სიმშვიდეს. ამის შემდეგ იწყება ვარჯიშის მესამე საფეხური, რომლის დროს ადამიანის მოქმედებას ხელმძღვანელობს გული — სხეულის ბატონი, როგორც ჩინელები ამბობენ. „რბილი ტანვარჯიშის“ ყოველი მოძრაობა შეიძლება დაიბადოს გულში და გადაადგილდეს გონების საშუალებით. საერთოდ, აზროვნება არის ტანისა და გონების შემაკავშირებელი. ვარჯიშის დროს გონებას შეუძლია სხეულში გამოიწვიოს სხვადასხვა ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ძვრები და ყველა მოძრაობა განმსჭვალოს ბუნებასთან შერწყმის სურვილით, რაც კოსმიურ წესრიგთან ზიარებას ნიშნავს. „რბილი ტანვარჯიშის“ მიზანიც ეს არის.

თუ ვირწმუნებთ სხეულზე გონების ზემოქმედების შესაძლებლობას, შეგვიძლია დავუშვათ უკუზემოქმედებაც. თუ სწორ აზრს შეუძლია გაასწოროს ადამიანის შერყეული ჯანმრთელობა, თავად სწორი აზრებიც შეიძლება „წარმოქმნან“. როგორც ჩინელები ამბობენ: „ვასწორებ რა მოღუნულ წელს, ამით ვცვლი ჩემს მოქმედებას“ ე. ი. ის, რაც ადამიანს წინათ აღიზიანებდა და ღლიდა, მასზე უკვე აღარ მოქმედებს. იგი უფრო მშვიდი და, წარმოიდგინეთ, უფრო გამჭრიახიც გახდება. ადამიანის შინაგანი სიმშვიდე და ორგანოთა შეწყობილი რიტმული მუშაობა — აი, „რბილი ტანვარჯიშის“ საბოლოო მიზანი. ასეთი ვარჯიშით ადამიანს შეუძლია დაძლიოს საკუთარი თავი, ავადმყოფობა, დიდხანს შეინარჩუნოს მხნეობა და სიცოცხლე გაიხანგრძლივოს.

„რვა აბრეშუმის ძაფის გამოწელვა“ (პირველი საფეხური).

პოზა — 1. „ცის დაჭერა“. ცის ორივე ხელით „დაჭერა“, იგი აწესრიგებს შინაგანი ორგანოების მუშაობას.

პოზა—2. „მშვილდის გაწევა ორივე მხარეს“, თითქოს არწივს ესვრით ისარს. ამ ვარჯიშს იგივე ფუნქცია აქვს, რაც პირველ პოზას.

პოზა—3. „ერთი ხელის მიბჯენა“ (აწესრიგებს კუჭისა და ელენთის მოქმედებას).

პოზა—4. „უკან მოხედვა“ (ამ ვარჯიშით თავიდან იცილებთ ორგანიზმის სხვადასხვა დაზიანებას).

პოზა—5. „თავის მიმოტარება“. ხელს უწყობს დასნეულებული გულის განკურნას.

პოზა—6. ხელის თითების ფეხის ტერფამდე მიტანა (ხელს უწყობს თირკმელებისა და წელის გამაგრებას).

პოზა—7. მუშტების შეკუმშვა და მასზე მკაცრად ცქერა (ხელს უწყობს ძალის განვითარებას) გარდა ამისა, ეს ვარჯიში კარგი მასაჟია სახისათვის.

პოზა—8. მოდუნებული ფეხის თითებით სიარული წინ და უკან (აწესრიგებს ყველა შინაგანი ორგანოს მოქმედებას).

პუბლიკაციისა მოამზადა
ᲘᲣᲠᲘ ᲣᲔᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲓᲚᲘ...

ᲐᲗᲔᲜᲨᲘ მიმდინარეობს ... რთა მსოფლიოს პირველი ჩემ... ნატი მძლეოსნობაში, რომ... 100 ქვეყნის 1500 სპორტ... მონაწილეობს. საბჭოთა კავ... წარმომადგენელთაგან ამ შეჯ... ბის პირველი ოქროს მედალ... მაათელმა იგორ პოტაპოვინმ... იპოვა. 19 წლის სპორტსმენს ... რჯვებისთვის პირადი რეკ... გაუმჯობესება დასჭირდა, ... ერთბაშად 20 სმ-ით. მისი შ... 5 მეტრი და 50 სმ-ია. საბ... სპორტსმენს ყველაზე მეტ... წინააღმდეგობა ბულგარელმა ... ლკო ლესევმა გაუწია, რომ... 550 სმ-ზე უშედეგო იერიშ... მდეგ, ასევე უშედეგოდ ცდ... ბდა 555 სმ-ის გადალახვას.

სამაგიეროდ, ბადროს ტ... ნაში ლესევის თანაგუნდელმ... სილ ბაკლაროვმა გაიმარჯვ... 60,68 მ. საბჭოთა სპორტს... ვასილი კაპტიუკმა მე-3 ად... დაიკავა — 58,22 მ.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢ...

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ლატარიების ... ვარმა სამმართველომ შეაჯამა „... რტლოტოს“ მორიგი, 28-ე ტ... ბის შედეგები, რომლებიც 1... ლისს შედგა.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ 6 45“-... ... იყიდა 630154 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გ... ნო, ხუთი ციფრის გამოცნობ... (16 ბარათი) მოგება 3832 მ... ოთხისთვის (1151) — 49, ... ვის (23774) — 3.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ 5 36“-... ... ყიდა 5 368209 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობ... (37 ბარათი) მოგება 8806 მ... ოთხისთვის (7197) — 67, ... თვის (160484) — 5.

მოგებული თანხის განაღ... ივლისიდან 28 აგვისტოს ჩ...

ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠ...

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

ივლისი. დილის ტანვარჯიშ... **9.00 (2);** რიტმული ტანვარ... — **9.30 (2);** კეთილი ნების ... შები — **9.40 (1); 20.00 (2);** ... **(2); 22.40 (1); 0.50 (1).**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕ...

19 ივლისი. კეთილი ნების ... შები — **20.40; 0.50.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘ...

ივლისი. კეთილი ნების თამ... — **8.15;** რიტმული ვარჯიში **11.40;** სსრ კავშირის პირველ... ფეხბურთში. I ლიგა. „ლ... (ბათუმი) — ცსკა — **22.00.**

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვა“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ: 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ... დენისანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ... ტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უ...

რედაქტორის მოადგ...
თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚ...